პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

30 მაისი

სამშაბათი,

1961 წ.

№ 69 (1705)

გამოცემის 30-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ვ. ბრუმელი პასუხობს

საკავშირო დეპეშათა სააგენტომ შემოიღო ანკეტა, სადაც იგი 3 შეკითხვით მიმართავს მსოფლიოს გამოჩენილ მძლეოსნებს. ზემოაღნიშნულ ანკეტას პირველი გამოეხმაურა ევროპის რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. ბრუმელი.

შეკითხვა: რა არის თქვენი მთავარი მიზანი 1961 წლის მძლეოსნურ სეზონში?

ვ. ბრუმელი: გავაუმჯობესო ამერიკელ ჯ. თომასის მსოფლიო რეკორდი, რომელიც უდრის 222 სმ.

შეკითხვა: მიმდინარე სეზონის რომელი შეჯიბრებაა თქვენთვის ყველაზე საინტერესო?

ვ. ბრუმელი: სსრკ-ა-შშ-ს მძლეოსანთა მატჩი, რომელიც გაიმართება მიმდინარე წლის 15-16 ივლისს მოსკოვში. ჩემი მიზანია ამ შეჯიბრებაშიც დავამარცხო ჯ. თომასი.

შეკითხვა: დიდხანს იქნება ხელუხლებელი თუ არა ჯ. თომასის მსოფლიო რეკორდი?

ვ. ბრუმელი: ამ ბოლო ხანებში ბევრი ნიჭიერი სიმაღლეზე მხტომელი გამოჩნდა, რომლებიც შეეცდებიან მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესებას.

ვენა მოელის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს

მსოფლიოს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის შეხვედრის შესახებ 3-4 ივნისს ვენაში. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანები მიესალმებიან ამ ისტორიულ მოვლენას. ვენაში ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურებს შორის ოფიციალური მოლაპარაკება არ გაიმართება, ნ. ს. ხრუშჩოვი და ჯ. კენედი შეხვდებიან ერთმანეთს და მიმდინარე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოითათბირებენ, ერთმანეთს გააცნობენ თავიანთ მოსაზრებებს.

მსოფლიო პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის მომავალ შეხვედრას და ფიქრობს, რომ შეიძლება დამყარდეს ისეთი პირადი კონტაქტი, რომელიც შესაძლებელს გახდის შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა, შეიქმნას საფუძველი სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, მოამზადოს ნიადაგი შემდგომი შეთანხმებისათვის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე.

განსაკუთრებით ბევრს წერენ ამერიკული გაზეთები. „გაზეტ ენდ დეილი", რომელიც ნიუ-იორკში გამოდის, მიესალმება ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შეხვედრას და აღნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფოს ინტერესებს შეესაბამება ხელი შეუშალონ ატომური ომის წარმოშობას.

27 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი გაუმგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯ. კენედისთან შესახვედრად, რომელიც გაიმართება 3-4 ივნისს ვენაში (ავსტრია).

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ვენას გაემგზავრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. ფ. დობრინინი და სხვა ოფიციალური პირნი.

* * *

გასულ კვირას სპეციალური მატარებელი, რომლითაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ვენას მიემგზავრება, გაჩერდა კიევის ვაგზალში. საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს კიევის მშრომელებმა. შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი რესპუბლიკის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ჩავიდა ღია მანქანაში და გაიარა ქალაქის ქუჩებში. ყველგან, სადაც კი ნ. ს. ხრუშჩოვი გამოჩნდებოდა, მშრომელები აღფრთოვანებულ შეხვედრას უწყობდნენ მას. იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა ტ. შევჩენკოს ძეგლი და შეამკო იგი ცოცხალი ყვავილებით, იყო აგრეთვე ტ. შევჩენკოს სახლ-მუზეუმში.

ახალი მსოფლიო რეკორდი

კიევი. (ტელეფონით). ა. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა რსფსრ-ს, უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა.

ცუდი, წვიმიანი ამინდის მიუხედავად ნაჩვენები იქნა მთელი რიგი საერთაშორისო კლასის შედეგები. ასე მაგალითად, ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოსკოველმა ვ. რუდენკოვმა ურო ტყორცნა 66 მეტრსა და 58 სანტიმეტრზე. ი. პრესმა საკავშირო რეკორდი — 10,6 წ. გაიმეორა 80 მ თარჯრბენში და გაიმარჯვა. 10.000 მ რბენაში თავი ისახელა რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა პ. ბოლოტნიკოვმა, რომელმაც ამ დისტანციაზე აჩვენა მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგი — 29.05,6.

განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს 3000 მეტრზე დაბრკოლებებით მორბენლებმა. სტარტიდანვე დაწინაურდნენ ნ. სოკოლოვი და ს. რეიშინი. ნ. სოკოლოვის რბენის გრაფიკი ახალი რეკორდის დამყარების იმედს იძლეოდა და მართლაც შეჯიბრება დამთავრდა ახალი მსოფლიო რეკორდით, მაგრამ მისი ავტორი ნ. სოკოლოვი, როდია. უკრაინელი გ. ტარანი ჯერ წამოეწია წინ წასულებს, მერე გაასწრო კიდეც და პირველმა დაამთავრა შეჯიბრება — 8.31,2, რაც 0,2 წამით აღემატება პოლონელ ვ. კშიშკოვიაკის მსოფლიო რეკორდს.

გუნდურ ჩათვლაში წინ არიან ლენინგრადელები.

ამას წინათ მოსკოვში გამართული ინგლისისა და საბჭოთა მოცურავეების საერთაშორისო მატჩი ჩატარდა სპორტსმენთა დამეგობრების ვითარებაში. საბჭოთა და ინგლისელი სპორტსმენები ინტერესით ეცნობოდნენ ერთმანეთის მიღწევებს. ზედა სურათზე: ლენინგრადელი ი. ლიახოვსკაია რუსულ სიტყვებს აწერინებს რ. კამპიონს (ინგლისი).

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის რეკორდსმენს ი. ფუნიკოვსა და ინგლისელ ა. ლონსბოროს.

ფოტოები ვ. ტუტოვისა.

საქართველოს მოჭადრაკეები რუმინეთში

გუშინ დილით, ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა საქართველოს მოჭადრაკეებს, რომლებიც ბუქარესტში იმყოფებიან რუმინეთ-საქართველოს საჭადრაკო მატჩში მონაწილეობისათვის. რუმინელ და ქართველ მოჭადრაკეთა ეს შეხვედრა უკვე მეორეა. პირველი მატჩი მოეწყო გასულ წელს თბილისში და დამთავრდა ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვებით.

ტელეფონით გველაპარაკა ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე. აი, რა გვითხრა მან: რუმინელები შესანიშნავად დაგვხვდნენ. მასპინძლებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს იმისათვის, რომ კარგად გამოვიყენოთ თავისუფალი დრო, გათვალიერებთ ბუქარესტის ღირსშესანიშნაობებს. შეჯიბრების დებულებით თვითეული მოჭადრაკე ერთმანეთს 4-4-ჯერ უნდა შეხვდეს. თამაში მიმდინარეობს ბუქარესტის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის სალექციო დარბაზში. მატჩის საზეიმო გახსნაზე გულთბილად მოგვესალმა რუმინეთის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე — ლაზარიანუ. საქართველოს მოჭადრაკეთა სახელით გამოვიდა დამსახურებული მწვრთნელი ვ. ქარსელაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა რუმინელ მოჭადრაკეებს გულთბილი დახვედრისათვის და რუმინელ სპორტსმენებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

შემდეგ დაიწყო მატჩის I ტური, იგი მიმდინარეობდა დაძაბულად და დამთავრდა ჩვენი გამარჯვებით — 4,5:3,5. ინდივიდუალური შედეგები ასეთია: ბუსლაევმა მოუგო გიცესკუს, ტოგონიძემ — ნიკოლაუს, კაკაბაძემ — ტეოდორესკუს. ყაიშით დაამთავრეს თამაში: გურგენიძემ — ჩიკოლტიასთან, შიშოვმა — დრიმერთან და გიორგაძემ — შოოშთან, წაგეს: ჯინჯიხაშვილმა — გეორგიუსთან და გაფრინდაშვილმა — პოლიქრონიადესთან. II ტური არ დამთავრებულა: გაფრინდაშვილმა მოუგო პოლიქრონიადეს, გურგენიძემ და ბუსლაევმა თამაში ყაიმით დაამთავრეს ჩიკოლტიასთან და გიცესკუსთან, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

გუშინ მოჭადრაკეებს დასვენების დღე ჰქონდათ და ეცნობოდნენ რუმინეთის დედაქალაქს.



სურათზე: აფრიანი ნავები თბილისის ზღვაზე.

ფოტო გ. სახეჩიძისა.

წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: მძლეოსნობაში გ. ჩიტაძეს (რუსთავი, „დინამო"), დ. კაპცოვს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ვ. მიხაილოვს (სტალინირი, „შრ. რეზერვები").

* * *

სპორტის ოსტატის წოდება მიეკნიჭა: კლასიკურ ჭიდაობაში — თ. ბითარიშვილს (სოხუმი, „ბურევესტნიკი"). ძალოსნობაში ნ. იჯრას (თბილისი, „განთიადი"). ვოლოსპორტში ნ. პიკალოვას (ბათუმი, „კოლმეურნე").

საკავშირო ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „შრომითი რეზერვების" ცენტრალურმა საბჭომ ამას წინათ შეაჯამა ფიზიკური კულტურის კოლექტივებსა და საზოგადოების საბჭოებს შორის მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში შეჯიბრების შედეგები 1960 წლის მანძილზე. მან ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო „შრომითი რეზერვების" საქართველოს რესპუბლიკური საბჭო და დააჯილდოვა იგი საპატიო სიგელითა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშით.

ჯილდოები დაიმსახურეს

ტექნიკუმებს შორის გამარჯვებულად იქნა აღიარებული აგრეთვე თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომელსაც გადაეცა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს გარდამავალი პრიზი. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელი და ვიმპელი გადაეცა აგრეთვე თბილისის № 1 რკინიგზის სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივს, რომელმაც თავის ჯგუფში დაიკავა მეორე ადგილი. საპატიო სიგელებით იქნა აღნიშნული თბილისის № 4 ტექნიკური სასწავლებლის და სურამის № 1 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლის ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობა.

მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის კარგი ორგანიზაციისათვის „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ „შრომითი რეზერვების" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე მ. ჩიხლაძე და მისი მოადგილე გ. კირვალიძე, აგრეთვე ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეები — ი. ბიბილეიშვილი, გ. დომენია, მ. ვეფხვაძე, პ. ლიპარტია, გ. გუჯეჯიანი, ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორები — უ. ბარნაბიშვილი, კ. ყიფიანი, დ. კევლიშვილი, ზ. მიქაიშვილი, ტ. ცუცქირიძე.

ი. რუხაძე

სპორტული ინვენტარი პიონერთა განაკეგს

ჩვენი მოზარდი თაობის სპორტის რომელიმე სახეობით დაინტერესება ძირითადად სასკოლო ასაკში ხდება. მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საერთო ამოცანის გადაწყვეტა ხდება როგორც საშუალო სკოლებსა და ბავშვთა სპორტულ სკოლებში, ისე ზაფხულის პერიოდში პიონერთა ბანაკებში. პიონერთა ბანაკებში ბავშვებს ფიზკულტურული მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები უნდა შეეუქმნათ, რაც პიონერთა ბანაკების ხელმძღვანელებს ავალებს გადაჭრან შემდეგი ძირითადი საკითხები: პიონერთა ბანაკები ისეთ ადგილზე უნდა მოეწყოს, სადაც შეიძლება მარტივი ტიპის სპორტული ბაზების მოწყობა (კომბინირებული ან ცალ-ცალკე კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი, სახტომი ორმო, სარბენი ბილიკი და ა. შ.) პიონერთა ბანაკი დროულად უნდა მომზადდეს მომარაგებული სპორტული ინვენტარით. რა დასამალია, რომ პიონერთა ბანაკებს არ გააჩნიათ ის პირველი მოთხოვნილების ინვენტარი, რომლის გარეშე ფიზკულტურული მუშაობის გაშლა შეუძლებელია.

პიონერთა ბანაკებში ფიზკულტურული მუშაობა ძირითადად მოძრავ სპორტულ თამაშებზეა აგებული. ამისათვის საჭიროა შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოთ ბანაკები და ფიზაღზრდის მასწავლებლებს შეუქმნათ მუშაობის სათანადო პირობები.

შ. სამადაშვილი

△

ურეკლამოდ, უაფიშოდ

საქართველოს პირველობისადმი ფეხბურთში დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და

მკითხველთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერებში. მათ-ზალ ბენლებ... მრავლად არიან ახალგაზრდები, რომელთა რიცხვიდანაც უნდა აღზარდოს ოსტატთა მომავალი ცვლ...

მაგრამ, როცა რესპუბლიკურ... პირველობის მატჩები ტარდებ... თბილისში, მათ სრულიად არ... ჰყავთ მაყურებელი, ან საიდ... ეყოლება, როცა ქალაქში ვერ გა... გებთ სად და როდისაა თამაშ... თბილისში მრავლად არიან სტუ... დენტები რაიონებიდან, რომლებ... საც სურთ დაესწრონ თავიანთ... გუნდების თამაშს, მაგრამ ამის საშუალებას ისინი უმეტეს შემთხვევაში მოკლებული არიან.

ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ უნდა მოაგვაროს საქართველოს პირველობის რეკლამირების საქმე.

ა. მოდებაძე

იმ, საღაც ჭიდაობდა ა. მეკოკიშვილი

საკითხი, რომელსაც ქვემოდმოყვანილ წერილში შევეხებით, პირველად არაა დასმული. მასზე ბევრი დაწერილა, უფრო მეტი თქმულა, მაგრამ საკითხი საკითხად დარჩა, ხოლო საქმე ადგილიდან არც დაძრულა.

თელავი — კახეთის გული, მისი კულტურული ცხოვრების ცენტრია და, ბუნებრივია, ამ ცხოვრების შემადგენელი ნაწილის — სპორტული მოძრაობის ცენტრსაც უნდა წარმოადგენდეს. ასე უნდა იყოს, მაგრამ...

თელავის სპორტკავშირის თავმჯდომარის ო. გულიაშვილის ოთახში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული პლაკატი: „ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! აშენეთ საკუთარი ძალებით მარტივი ტიპის სპორტული მოედნები!“.

ამ პლაკატის არსი აქ ცუდად გაუგიათ...

ავიღოთ თუნდაც სტადიონი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი გაპარტახების პირამდეა მისული. ნორმალური სტადიონისა მას მხოლოდ კარი და მისი ბადეები აქვს შერჩენილი. მაყურებელთა ტრიბუნების დამპალი და ბევრგან ჩამტყდარი დასაჯდომები მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს შეჯიბრების საყურებლად მოსულ გულშემატკივრებისათვის.

აქვე უნდა შევეხოთ მძლეოსნურ სექტორებსაც. ამ დღეებში სწორედ ამ სტადიონზე უნდა ჩატარდეს მძლეოსანთა ზონალური შეჯიბრება, რომელშიც ახმეტის, გურჯაანის, ყვარლის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავისა და წითელწყაროს სპორტსმენები მიიღებენ მონაწილეობას. შეიძლება კი ამ სტადიონზე ასეთი საპასუხისმგებლო ღონისძიების ჩატარება? ვფიქრობთ, რომ არა. სტადიონს სამი სარბენი ბილიკი აქვს და სამივე ქვიანია. სარბენი ფეხსაცმელით მონაწილეობა შეჯიბრებაში თავისთავად გამორიცხულია, ვინაიდან სპორტსმენი ტრავმის მიღებისაგან დაზღვეული ვერ იქნება. ავარიულ მდგომარეობაშია სატყორცნი წრე და სახტომი ორმოები. ამით აიხსნება ისიც, რომ ახლახან გამართულ მოსწავლეთა შეჯიბრებაზე აქ სულ ერთი მესამე თანრიგის ნორმატივი იქნა შესრულებული. ესაა და ეს.

სტადიონის გვერდით, დაბლობში მოთავსებულია საჭიდაო სარბიელი ნახერხით სავსე ორმოთი და ნახევრად მილეწილი დასაჯდომებით. ამ საჭიდაოზე გამოსულ არსენ მეკოკიშვილს ადრე აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი, დღეს კი იგი გაუქმებულია. მიზეზი? „დაბლობშია, ხალხი ზევიდან უფულოდაც უყურებს და ხეირი არ იქნებაო?“ საქმისადმი ასეთი უხეირო მიდგომით ქართულ ჭიდაობაში მუშაობა ჩამკვდარია და ერთ დროს მოჭიდავეებით ცნობილი კუთხე თითო-ოროლა კაცსაც ვეღარ იძლევა.

... თელავის სპორტსკოლის ერთ-ერთი გასახდელი ოთახი დათმობილი აქვს ძალოსნობის სექციას. იგი განსაკუთრებულ პირობებში მუშაობს და მისთვის გვერდის ავლა დანაშაულად მიგვაჩნია. სექციის ოთახი თავისი სიდიდით ოდნავ აღემატება ძალოსნური ფიცარნაგის ზომას (4×4 მ). ერთ-ერთი სპორტსმენის შტანგასთან მისვლის დროს დანარჩენები კედლებზე არიან გაკრული ან კარებთან ატუზული, რომ შტანგის ჩამოვარდნის შემთხვევაში გაქცევით უშველონ თავს. საწვრთნელი ოთახის სიმაღლე ორ მეტრზე დაბალია და ტანმაღალი შტანგისტის მოძრაობა გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული.

ყველასათვის ცნობილია, რომ ძალოსნური მოძრაობები სტატიკურ ძალას მოითხოვს, ეს კი ჟანგბადის დიდი რაოდენობით ჩასუნთქვასთანაა დაკავშირებული. რა უნდა გააკეთონ ამ ოთახში მომეცადინე შტანგისტებმა, როცა ერთი მხრით გაუქმებული საპირფარეშოა და მეორე მხრით დახშული დერეფანი?...

იქნებ ჩავარდნილია ძალოსნურ სპორტში მუშაობა და მასზე ზრუნვა არაფრის მომტანია? არა. პირიქით, ამ სახეობის წარმომადგენლები გაცილებით უკეთ გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, ვიდრე სპორტის სხვა „პრივილეგირებული“ სახეობათა წარმომადგენლები.

სპორტსმენებს ამ სექციაში, რომელსაც პირველთანრიგოსანი რ. საამოვი ხელმძღვანელობს, გარკვეული მიღწევებიც აქვთ, გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ამ სექციის წევრები გაბნეული არიან მთელს რაიონში და ადგილებზე უწევენ სპორტის ამ სახეობას პოპულარიზაციას. მაგალითად, მეორეთანრიგოსანი სპორტსმენები ვ. მამუკაშვილი და ა. პაპუნაშვილი, სოფელ რუისპირში მუშაობენ, რაიონის ნაკრების წევრები არიან აკურის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადირი გ. მჭედლიშვილი და კოლმეურნე გ. ხატიაშვილი. ეს ამხანაგები ისე არიან გატაცებული ძალოსნური სპორტით, რომ სავარჯიშოდ ვ. საამოვთან თელავშიც კი ჩამოდიან. მოკლედ, ამ სპორტსმენებს საწვრთნელი ოთახის გარდა მონაცემებიც აქვთ და მონდომებაც. მათ საკუთარი ინიციატივით გააკეთეს სავარჯიშო ტახტი ჟურნალ „ტეორია ი პრაქტიკის“ მონაცემების მიხედვით. თელაველი ძალოსნები საკმაო წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. და ეს მით უფრო გასაკვირია, როცა უყურებ მათი მუშაობის პირობებს.

როცა თელავის სპორტული ბაზების შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ თელავის სასროლეთისა და საცურაო აუზის საკითხსაც. სასროლეთი კარგად მოწყობილ სპორტულ ბაზას წარმოადგენს. მაგრამ მოწყობა ერთია, ხოლო მისი მოვლა და პატრონობა — მეორე. სასროლეთის დათვალიერებისას იგი ნაგვითა და ჭუჭყით ავსილი დაგვიხვდა. ამას იმით ხსნიან, რომ შტატში დამლაგებელი არა ჰყავთ. ნუთუ ისინი, ვინც აქ ვარჯიშობენ, ვერ დააწესებენ მორიგეობას, რომ თავისივე სპორტულ ბაზას მოუარონ ისე, როგორც წესი და რიგია.

ახლა ორიოდე სიტყვა აუზის შესახებაც: საცურაო აუზი უკვე რამდენიმე წელია, რაც თელავში აშენდა, მაგრამ აქ ჩასხმული წყალი იშვიათად თუ უნახავს ვინმეს. მისი მშენებლობის ხელმძღვანელებს თითქმის არაფერი უფიქრიათ, რომ აუზს წყალი დასჭირდებოდა. მის ასავსებათ თითქმის თვენახევარი სჭირდება ხოლმე. აუზში ძველი წყლის ახლით შეცვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საერთოდ, თელავში ამ აუზის შესახებ მრავალი ოხუნჯობა მოვისმინეთ.. ოხუნჯობა კარგია მაშინ, როცა მას სიმწრის ღიმილი არ მოსდევს. რაიონის ხელმძღვანელები დაგვპირდნენ, რომ ახლო მომავალში (1 ივლისისათვის!!) აუზში წყლის მიწოდების საქმე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება, ძალიან კარგი, თუ ეს საქმე მოგვარდება, რაიონის ახალგაზრდობასაც ხომ აუზის წყლით ავსების წყურვილი ჰკლავს.

ჯ. ენუქიძე,
გ. სამსონაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.



სურათებზე: ასე გამოიყურება თელავის სტადიონის ტრიბუნები (ზევით მარცხნივ) და ბედისანაბრად მიგდებული საჭიდაო სარბიელი, რომელზედაც ერთ დროს არსენ მეკოკიშვილი ჭიდაობდა (ქვემოთ, მარჯვნივ). რაც შეეხება ძალოსნურ „დარბაზს“, იქ ჩვენი ფოტოკორესპონდენტი უძლური გამოდგა. ამიტომ მხატვარმა შეძლო იქ შექმნილი „ხალვათობის“ ქაღალდზე გადატანა.

ვიზრინა ჩამტვრეულია

ლენინის ქუჩა ერთ-ერთი ცენტრალური უბანია გორში. სასტუმრო „ქართლის“, კინოთეატრ „კომკავშირელის“, კულტურის სახლისა და მაღაზიების მახლობლად ყოველთვის დიდძალი ხალხი იყრის თავს. აქვე, სასტუმროსთან, გაზეთ „ლელოს“ ვიტრინაა მოთავსებული. ვიტრინის ორგანიზაცია დავალებული აქვს რესტორნის ადმინისტრაციას; მაგრამ მას, სამწუხაროდ, კარგა ხანია „დაავიწყდა“ ეს მოვალეობა და არც სხვა ვინმე გამოჩნდა, რომ „შეახსენოს“ მას ვიტრინა და საზოგადოებრიობის კულტურული მოთხოვნებიც...

ამის შედეგია, რომ ვიტრინის მინები ხშირად ჩამტვრეულია, გაზეთის ერთი და იგივე ნომერი თვეების მანძილზეა გამოკრული და მის გამოცვლაზე არავინ ფიქრობს. ასე მაგალითად, 1960 წლის 27 დეკემბრის „ლელოს“ ნომერი თუ დღემდე არა, 1961 წლის 15 მაისამდე მაინც ეკიდა შეუცვლელად.

ი. თევდორაშვილი

ლ ე ლ ო
ფე-2 ბბ. № 69 (1705)

სტენდზე დამთავრდა შეჯიბრება



ჩვენი რესპუბლიკის უძლიერეს მესტენდურეთა შეჯიბრების უკანასკნელი დღის ანგარიშში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ამინდს — ძლიერ ქარს, რომელმაც არა მარტო სამი საათით დააგვიანა შეჯიბრება, არამედ იმდენად დააქვეითა სპორტსმენთა მაჩვენებლები, რომ მონაწილე 21 ოსტატიდან (თუ არაფერს ვიტყვით პირველთანრიგოსნებზე) ვერც ერთმა ვერ შეძლო თუნდაც პირველი თანრიგის შესრულება.

მივყვეთ ცალკეულ სერიებს და ფაქტები ცხადყოფენ სინამდვილეს. პირველ 25 გასროლაში 20-ს მხოლოდ ხუთმა სპორტსმენმა „გადააბიჯა“. მახარაძელმა რ. ჩიგოგიძემ და თბილისელმა ე. ძიძიგურმა აჩვენეს 22 თვითეულმა, გ. რატიმოვმა — 21, ლ. სიმონიანმა და სოხუმელმა კ. დარასელიამ — 20. ამასთან პირველ სერიაში 33 სპორტსმენმა 825 სამიზნედან უვნებლად „გაუშვა“ 280 სამიზნე.

მეორე სერიაში ლიდერთაგან მწყობრს მხოლოდ ლ. სიმონიანი შემორჩა, რომელმაც ამჯერად 23 სამიზნე გატეხა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ე. ძიძიგურმა და რ. ჩიგოგიძემ შესაბამისად დაამსხვრიეს 18 და 19 სამიზნე. ორი სერიის შემდეგ უკვე გარკვეული იყო, რომ დარჩენილ სერიებში უშეცდომოდ სროლის შემთხვევაშიც კი ვეღარავინ შეძლებდა ოსტატის შედეგის ჩვენებას, ახლა მათს ამოცანას მხოლოდ გამარჯვება შეადგენდა.

მესამე 25 გასროლის წინ ამის რეალური შანსები ჰქონდათ ლ. სიმონიანს, რომელმაც 50-დან 43 ქულა დააგროვა, რ. ჩიგოგიძეს — (41), ე. ძიძიგურსა და ბ. სეგალეგიჩს — 40.

მორიგმა სერიამ ახალი გამარჯვება მოუტანა ლ. სიმონიანსა და ე. ძიძიგურს, რომლებმაც მხოლოდ 4 სამიზნე „გაუშვეს“ უვნებლად, მაგრამ უკანასკნელ სერიაში ისინიც „გამოვიდნენ“ 20-ქულიანი ჩოვარდან — 19-19 სამიზნე. [illegible] — 83 ქულა, ე. ძიძიგურს წამოეწია მახარაძელი ბ. მეგრელაძე, რომელმაც პირველი ორი სერიის შემდეგ (34 ქულა) დარჩენილ ორ სერიაში მოაგროვა 46 ქულა, და 80 ქულით ძიძიგურთან ერთად გაიყო II-III ადგილები. დამატებითი სროლა მოიგო ე. ძიძიგურმა და დაიკავა მეორე ადგილი.

ო. ივდოშვილი

სურათზე: მრგვალ სტენდზე შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი ცეცხლის ხაზზე. სამიზნეს ელოდება მახარაძელი რ. ჩიგოგიძე.

საქალაქო ტურნირი

ამას წინათ კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე დაიწყო თბილისის 1961 წლის ჩემპიონატი კალათბურთში პირველა ჯგუფის გუნდებს შორის.

სამი ტურის შემდეგ გათამაშებას ლიდერობენ „დინამოს“ პირველი და მეორე გუნდები და „ბურევესტნიკის“ კალათბურთელები.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ჩემპიონატის ცალკეული შეხვედრები. ასე მაგალითად, „ბურევესტნიკისა“ და „სპარტაკის“ სპორტსშენთა შეხვედრის პირველმა ნახევარმა ვერ გამოავლინა უძლიერესი (25:25). თანაბარი ბრძოლით აღინიშნა მეორე ნახევრის 15 წუთიც და მხოლოდ უკანასკნელ ხუთ წუთში მიაღწიეს წარმატებას „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიგეს მატჩი ანგარიშით 64:53.

„ბურევესტნიკის“ და უნივერსიტეტის კალათბურთელთა შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა მთლიანად „ბურევესტნიკის“ მხარეს იყო. გუნდმა შეინარჩუნა ინიციატივა მეორე ნახევარშიც და გაიმარჯვა — 53:51.

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: „ბურევესტნიკი“-„ნორჩი დინამოელი“— 92:42, „დინამო“ II-განათლების განყოფილება — 64:56, „დინამო“ (ოსტატები)-„ლოკომოტივი“ — 85:48, „დინამო“ II-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 77:70, უნივერსიტეტი-„ნორჩი დინამოელი“ — 69:50, „დინამო“ (ოსტატები)-განათლების განყოფილება — 74:40, „დინამო“ II-„ლოკომოტივი“ — 69:45, „სპარტაკი“-„ნორჩი დინამოელი“ — 104:41.

ლ. ფალიანი

ფეხბურთი ველებზე

„ბ“ კლასში

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„სპარტაკი“ (ფერგანა) — 4:0

28 მაისს ქუთაისში შედგა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ქუთაისის ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ფერგანის „სპარტაკი“.

ამ დღეს ქუთაისში გადაუღებლად წვიმდა, რის გამოც სათამაშო მინდორი ძალზე გატალახიანდა და ფეხბურთელებს მეტად ძნელ პირობებში მოუხდათ მატჩის ჩატარება. მიუხედავად ამისა, ტორპედოელებმა აჩვენეს კარგი, შეწყობილი თამაში. ისინი აშკარად ჯობდნენ მოწინააღმდეგეს ყველა რგოლში როგორც ტექნიკურად, ისე ფიზიკური მომზადების მხრივაც. შეიძლება ითქვას, რომ ანგარიში კიდევ უფრო მეტი იქნებოდა მათს სასარგებლოდ, რომ ნახევარდაცვას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა თავდასხმასთან.

პირველი გოლი გატანილ იქნა მატჩის დასაწყისშივე. მაჭარაშვილი, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა თამაში, დიდი სისწრაფით შეიჭრა „სპარტაკის“ საჯარიმო მოედანზე, გადააწოდა ბურთი ლეჟავას. ამ უკანასკნელმა მოატყუა ორი მცველი და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. 30-ე წუთზე იმავე მაჭარაშვილის მიერ კუთხური მოწოდების შემდეგ ბურთი მიიღო ხაჟალიამ და სტუმრები იძულებული იყვნენ მეორედ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან — 2:0.

ამ გოლის შემდეგ ქუთაისელებმა ერთხანს მოადუნეს თამაში და გუნდი ორჯერ აღმოჩნდა მეტად სახიფათო სიტუაციაში. პირველად მეტად ძნელი ბურთი აიღო მეკარე ურუშაძემ, ხოლო მეორედ ბურთი ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში ტორპედოელები კვლავ შეტევაზე იყვნენ. 21-ე წუთზე ლეჟავამ მესამე გოლი გაიტანა, ხოლო შემდგომში მაჭარაშვილმა ანგარიში ოთხამდე აიყვანა.

„ტორპედომ“ გაიმარჯვა — 4:0.

ლ. ფაჩუაშვილი

△

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„დინამო“ (სამარყანდი)—4:1

ამავე დღეს რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და სამარყანდის „დინამო“.

უპირატესობა აქაც მასპინძლებს ჰქონდათ თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში. მათ უკვე მეხუთე წუთზე შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ ჯავახიშვილმა ვერ გამოიყენა უაღრესად ხელსაყრელი მომენტი, ხოლო მცირე ხნის შემდეგ მეტალურგებს თვითონ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მცველებმა ცუდად მოიგერიეს კუთხურიდან მოწოდებული ბურთი და კანციბერმა გახსნა ანგარიში — 1:0.

ამის შემდეგ მასპინძლები მეტი აურადღებით თამაშობდნენ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში და 31-ე წუთზე გატანილ იქნა კიდეც საპასუხო გოლი ცენტრალური თავდამსხმელის ქოჩიაშვილის მიერ — 1:1.

რუსთავის ფეხბურთელთა უპირატესობამ განსაკუთრებით იჩინა თავი მეორე ტაიმში. რამდენიმე უშედეგო შეტევის შემდეგ „მეტალურგის“ შუამარბმა კალიუჟინოვმა წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1.

კარგად ითამაშა ამ დღეს მასპინძელთა თავდამსხმელმა ქურციკიძემ. მან ჯერ თვითონ გაიტანა ბურთი, ხოლო შემდეგ მისი უშუალო მონაწილეობით გატანილ იქნა კიდევ ერთი გოლი და რუსთავის „მეტალურგმა“ გამარჯვებულმა დატოვა მინდორი — 4:1.

რ. ხარატი

△

ბოგბრუსკი. 28 მაისს, ქალაქის სტადიონზე ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდები—ადგილობრივი ნაკრები და თბილისის „ლოკომოტივი“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოგილიოვი. ამავე დღეს მოგილიოვის „ხიმიკმა“ თავის მინდორზე მიიღო ბათუმის „დინამო“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:1 „ხიმიკის“ სასარგებლოდ.

• • •

სურათზე: მომენტი ქუთაისში ჩატარებული მატჩიდან. გარღვევაზეა „ტორპედოს“ თავდამსხმელი მაჭარაშვილი.

ორი რეკორდი

მ. ბოსტონი — 8 მ 24 სმ

მლადა ბოლესლავში (ჩეხოსლოვაკია) გამართული პარაშუტისტთა შეჯიბრება აღინიშნა ორი საერთაშორისო კლასის შედეგით. 2.000 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში პარაშუტის დაყოვნებითი გახსნით დაშვების სიზუსტეზე პლიეკამ, ვირავამ და გულკამ აჩვენეს საშუალოდ 5 მ 54 სმ გადახრა ცენტრიდან, ხოლო დრეზდენელმა შმიდტმა ინდივიდუალურ ხტომაში 1500 მეტრიდან აჩვენა 37 სმ-ს გადახრა. ორივე ეს მაჩვენებელი ახალი მსოფლიო რეკორდებია.

კალიფორნიაში (აშშ), გაიმართა მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც შესანიშნავი შედეგები აჩვენეს ჯ. კონოლიმ და რ. ბოსტონმა. პირველმა, რომელიც რომის ოლიმპიადაზე შედეგით—63,59 მ. მერვე იყო, ამჯერად აჩვენა 69 მ 02 სმ (საწონი გაგზავნა წრეში ოთხი ბრუნის შემდეგ), ხოლო რ. ბოსტონმა სიგრძეზე ხტომაში აჩვენა 8 მ 24 სმ და 3 სმ-ით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი.

ფრენბურთი

სპორტის სასახლეში

2-4 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში მოეწყობა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფრენბურთელთა გუნდების შეჯიბრება, მიძღვნილი საქართველოს 40 წლისთავისადმი.

მეგობრობის მატჩში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ეკს-ჩემპიონი ხარკოვის „ბურევესტნიკი“ და რუსეთის ფედერაციის ჩემპიონი გროზნოს „სპარტაკი“.

საქართველოდან ამ ტურნირში გამოვა „ბურევესტნიკის“ ორი კოლექტივი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები.

დარჩა ერთი მატჩი

ვარშავაში გაიმართა ფრენბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ფინალური შეხვედრა მოსკოვის „დინამოსა“ და ვარშავის ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდებს შორის. მატჩი, რომელიც უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა, დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით — 3:2. განმეორებითი შეხვედრა ჩატარდება მოსკოვში, რომელიც გამოავლენს თასის მფლობელს.

პირველი საკავშირო

მიმდინარე წელს პირველად ჩატარდება ფიზკულტურის ინსტიტუტების სპორტული კლუბების I საკავშირო საგაზაფხულო სპარტაკიადა კალათბურთში, კრივში, თავისუფალ, კლასიკურ ჭიდაობაში, ველოსპორტში, ფრენბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობასა და ფარიკაობაში.

სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად დაშვებული არიან აზერბაიჯანის, ბელორუსიის, მოსკოვის, ლენინგრადის, საქართველოს, სომხეთის, უაზახეთის, კიევის, ყირგიზეთის, ლატვიის, ლვოვის, ომსკის, სმოლენსკის, სტალინგრადისა და უზბეკეთის ფიზკულტურის ინსტიტუტების სპორტული კლუბების გუნდები.

კარგა ხანია ლვოვში გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში, სადაც 13 სპორტული კლუბის 126 მოკრივე იბრძოდა გამარჯვებისათვის.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა კიევის სპორტულმა კლუბმა. თბილისელი მოკრივეები ომსკისა და მოსკოვის გუნდების შემდეგ მეოთხე ადგილზე გამოვიდნენ.

ჩვენი მოკრივეებიდან საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ: გ. ხორნეული, ა. შაგინიანი, ო. ზებულაშვილი, მ. მამამთავრიშვილი, ა. ფლოროვი და გ. კანაშაძე.

ე. კორაშვილი,
ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის მმართველობის თავმჯდომარე.

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 69 (1705)

ინგლისში დიდი პოპულარობით სარგებლობს დოღები სხვადასხვა სახის და სხვადასხვა დისტანციაზე. ამასთან რბოლა იმდენად გართულებულია, რომ მას ხშირად ადამიანთა მსხვერპლიც სდევს თან.

ამ სურათზე მოცემულია ინგლისური დოღის ერთი მომენტი, მხედრები სძლევენ რთულ დაბრკოლებას და ცხენების ფლოქვების მსხვერპლნი ხდებიან.

სტალინირი

სტალინირის საჭიდაო დარბაზში გაიმართა „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

გუნდური პირველობა მოიპოვეს ლენინგორის რაიონის მოჭიდავეებმა. პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს თ. კობესოვმა (ლენინგორი), ბ. ტრანკაძემ, ვ. ფუხაევმა (ხნაური), თ. ნათაძემ, ი. გვრიტიშვილმა (ლენინგორი), გ. ცხოვრებოვმა ხ. სიუკაევმა და ს. ჩიგოევმა (სტალინირის რაიონი).

ვ. ველჭოევი

სილნალი

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ სილნალში ჩაატარა რაიონული სპარტაკიადა მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, ტყვიით სროლასა და ჭადრაკში.

სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო ფიზკულტურის 13-მა კოლექტივმა. დაძაბული ბრძოლის შედეგად საერთო პირველი ადგილი მოიპოვა მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმის კოლექტივმა.

ნ. ბლეგრიევა

ფეხბურთის ქრონიკა

28 მაისს შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. შვეიცის ნაკრებმა თავის მინდორზე მიიღო შვეიცარიის გუნდი.

შვედებმა მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 4:0.

* * *

განვლილ შაბათს ვენაში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ავსტრიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის. ავსტრიელებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს თავიანთი მაღალი კლასი და დაამარცხეს ინგლისელთა ძლიერი გუნდი ანგარიშით 3:1. ინგლისელებმა რამდენიმე დღით ადრე რომში დაამარცხეს იტალიის ნაკრები — 3:2.

რედაქტორი ი. უგულავა.

დღის წესრიგშია ტოკიოს ოლიმპიადა

გამოყოფილია 2.571 მილიონი იენი

XVIII ოლიმპიური თამაშების სამშობლოში, —იაპონიაში ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს არა მარტო იმისათვის, რომ მზადყოფნაში ჰქონდეთ სპორტული ბაზები, კარგი მასპინძლობა გაუწიონ სპორტსმენებს, ტურისტებს, პრესას, რადიოსა და ტელეხედვის მუშაკებს, არამედ ყველაფერს აკეთებენ, რომ ამ დიდ სპორტულ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ იაპონელი სპორტსმენები.

ამას წინათ იაპონიის მოყვარულთა ათლეტიკურმა ასოციაციამ თავის სხდომაზე დაამტკიცა ფულადი ფონდი, რომელიც მოხმარდება ამ ქვეყნის ოლიმპიელთა მომზადებას. სულ გამოყოფილია 2.571 მილიონი იენი, რომლის დიდი ნაწილი (1.612 მილიონი იენი) დაეთმობა იაპონელ სპორტსმენთა წვრთნას, წინასაოლიმპიადო სამატჩო შეხვედრებს. 89 მილიონი იენი მოხმარდება მონაწილეებს ოლიმპიადის პერიოდში.

ტელევიზიით!

ევროპის საერთაშორისო სატელევიზიო კომპანია „ევროვიზიონს“ გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს პირდაპირი სატელევიზიო გადაცემები ევროპაში 1964 წლის ოლიმპიური თამაშებიდან.

შვეიცის სახელმწიფო რადიოსატელევიზიო კომპანიის წარმომადგენელმა ჰერტ ენგსტრიომმა, რომელიც სპორტის დარგში მოღვაწეობს, განაცხადა, რომ მოკლე ხანში კომპანია „ევროვიზიონს“ გადაწყვეტილი აქვს ტოკიოში გაგზავნოს დელეგაცია, რომელსაც მოლაპარაკება ექნება ადგილობრივ ტელეხელისუფლებთან მონოპოლიის უფლების თაობაზე, რომ დადებულ იქნას შეთანხმება ტელეხედვით ოლიმპიური თამაშების ევროპაში გადასაცემად.

ოლიმპიადა ტოკიოს

რაც დრო გადის, მით უფრო პოპულარული ხდება ოლიმპიური თამაშები.

ეს არის მსოფლიოს სპორტსმენთა დამეგობრებისა და ერთმანეთთან დაახლოვების მკაფიო მაგალითი, რომელსაც თითქოს წინ ვერ აღუდგება ვერავითარი ძალა. მაგრამ ყოფილან ადამიანები და მერე როგორი ადამიანები — საერთაშორისო ოლიმპიური თამაშების ხელმძღვანელები, რომლებიც ახლის ძიებით არიან გატაცებულნი. ნუ გგონიათ, რომ ისინი ცდილობენ უფრო განავითარონ, გაალრმავონ ოლიმპიური იდეები.

ათენის სხდომამდე, სადაც ივნისის თვეში შეიკრიბებიან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრები, კარგა ხნით ადრე მსოფლიო პრესაში თავიანთი ახალი „აღმოჩენებით“ გამოვიდნენ საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის ორგანიზატორები. განსაკუთრებით აქტივობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ე. ბრენდეჯი, რომელსაც თურმე აღელვებს ის ფაქტი, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს, რომელთა ქვეყანაშიც ეს ღონისძიება ტარდება, ძალზე უჭირთ მონაწილეთა დიდი რაოდენობის მიღება. ამიტომ ე. ბრენდეჯი და სხვა ხელმძღვანელები მოითხოვენ შემცირდეს როგორც მონაწილეთა რაოდენობა, ისე ოლიმპიური თამაშების პროგრამა. თურმე საჭირო არაა თამაშების პროგრამაში იყოს სპორტის ისეთი პოპულარული სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი.

—შემცირდეს ტანვარჯიშის, ხროლის, ცურვის, მძლეოსნობის პროგრამა. პირველი ორი სახეობის შესახებ ე. ბრენდეჯს ის აზრი აღელვებს, რომ აქ ამერიკელი ოლიმპიელები არაფრით გამოირჩევიან, საპრიზო ადგილებს უთმობენ საბჭოთა სპორტსმენებს, არც ფრენბურთში წარმატების მოპოვების შანსები აქვთ. მძლეოსნობა? აქ ხომ შეიძლება ამერიკელებმა გაიმარჯვონ? მაგრამ იგი თურმე უნდა შემცირდეს ქალების ხარჯზე, სადაც, როგორც ცნობილია, წარმატებით გამოდიან საბჭოთა და დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლები.

ეს მოსაზრება ალბათ იმითაა გამოწვეული, რომ თუ კი მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ბ-ნი ბრენდეჯი უფრო კმაყოფილი იყო თავისი ქვეყნის სპორტსმენთა წარმატებებით, რომში ასე არ იყო. საერთოდ, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ერთი მეტად „ორასპორტული“ ჩვეულება აქვს. იგი ჩემპიონის ოქროს მედლებს უმთავრესად გადასცემს ამერიკელ სპორტსმენებს. ასე იყო რომშიც. როცა გამარჯვებულის კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ამერიკელი ავიდოდა, უნდა გცოდნოდა, რომ მას ოქროს მედალს აუცილებლად ე. ბრენდეჯი ჩაბარებდა. თუმცა რომში მას ამ მხრივ ნაკლები სამუშაო ჰქონდა. იგი მოუთმენლად ელოდა ვაუთა შორის სიმაღლეზე ხტომის დამთავრებას, მზად იყო ალბათ. მედალი ჯ. თომასისათვის გადაეცა, მაგრამ მას „ბედმა უმუხთლა“ და ამერიკელისათვის „განკუთვნილი“ მედალი რ. შავლაყაძემ ჩაიბარა.

ოლიმპიური თამაშების ამ „შესწორებების“ ავტორთა გამოსვლების წინააღმდეგ ილაშქრებენ მრავალი ქვეყნის სპორტის მესვეურნი, ისინი, ვისთვისაც ძვირფასია სხვადასხვა ეროვნების, ფერისა თუ რწმენის სპორტსმენთა მეგობრობა, დაახლოება. ამიტომ არის რომ მსოფლიოს სპორტული პრესა მკაცრად აკრიტიკებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს ანტიოლიმპიური „აზრებისათვის“, ხმა აიმაღლეს აგრეთვე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებმაც, რომლებსაც ეკრძალებათ ტოკიოს თამაშებში მონაწილეობა, თუ ათენის სხდომაზე თავიანთი აზრი სხვებსაც თავს მოახვიეს ოლიმპიური თამაშების „რეფორმატორებმა“.

ზ. ნადიბაიძე

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ჰოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05551